


# საქართველოს მემკვიდრეობა



სიფრთხილეს თავი არა სტკივს

№  
10

1920 წ.  
იანვრის 25



საქართველო (თავის დამოუკიდებლობას) ჩუ შვილო, ჩუ! აი, გესპის შუა ტყეში დაღის...

## დამოუკიდებელი საქართველო.



მეტად ძნელი გამოდგა „მატუშკა როსიას“ მშობიარობა როგორც გამოჩენილი აკუშორები ამტკიცებდნენ. ასე ხანგრძლივი ფეხმძიმეობა და გაუთავებელი ტანჯვა მშობიარე ქალსა სააკუშორო პრაქტიკაში არავის უნახავს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ვერც დედა აიტანდა ამ საშინელ მშობიარობას და შვილიც მკვლარი დაიხადებოდა.



მაგრამ მოხდა სასწაული და დახელოვნებულ ბებია ქალების, დო-სტაქრებისა და ექიმების დახმარებით „მატუშკა როსია“ მორჩა. მას ეყოლა ტყუპი ვაჟი, სრულიად ჯნსალი და მკვირცხლი ყმაწვილები. დედა, როგორც ყველა ცრუმორწმუნესა და გაუნათლებელ ადამიანს სჩვევია, მეტად დააღონა ტყუპი ბავშვის ყოლამ: მას დანახავაც კი არ უნდოდა თავის ახალ შობილებსა და ყალბი სირცხვილის გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა. დედობრივი გრძნობა დაჩრდილა ცრუმორწმუნეობამ. მან შეიძულა თავისი ორი პირმშო, ხელი აიღო მათზე, აღარ ინდომა ძუძუს წოვება და, მიუხედავად მრავალხვეწნა-ვედრებისა, უბრძანა გადიას, ბავშვები დაეხოცა.



ვადამ მოსაკდინელად ვერ გიმიტა უპატრონო ბალები, შეე-  
ბრალო ისინი ჩასვა პატარა კალათებში და მდინარეში ჩაუშვა.



სინდისის ქენჯნის ბრალი იყო, თუ სხვა რამ ანგარებიანი მიზეზის  
გამო, „მატუშკა როსიამ“ თავისი პატარები მოიკითხა და უბრძანა გა-  
დიას, დაუბრუნებია ისინი. — გვიან ლა გალაფთ, ბატონო, უპასუხა გ-  
დიამ: აკი მოგახსენებლით, ინანებთ მეთქი! მე ხომ თქვენს ბრძანებას  
ვერ გადევცდებოდი, დავხოცე ბავშვები და ეხლა როგორღა უნდა  
გავიცოცხლო?


ახალშობილ ტყუპებს კი ამ დროს ნელის ლივლივით მიაქანებდა  
მდინარის ტალღები...



12 იანვარს მისტერ ოლივერ უორდროპი ჩვეულებისამებრ მამლის ყვილაძედ აღდა და უბირეღეს ყოვლისა საბანაოთ განემზადა. აი, ჩაეშვა კიდეც აუზში და ის იყო უნდა ნებეირათ გაშოთილიყო საამოდ განელბულ წყალში, რომ უეცრედ აუზის კრანში წყალს რაღაც საგანი გამოჰყვა და შიგ აუზში მოადინა ტყაპანი. ბ. უორდროპმა ჯერ ყურადღებაც არ მიაქცია ამ გარემოებას, მან კარგათ იცოდა კიდეც თბილისის წყალსადენის ამბავი და გაიფიქრა, მკადარი კატა იქნებოა. მაგრამ როდესაც გაიხედა კრანისკენ, მოლივლევ კალათი შენიშნა..



განცვიფრებულმა ოლ. უორდროპმა დაავლო ხელი კალათს და ინგლისელსათვის უჩვევის მღელვარებით აჰხადა მას თავი. კალათიდან თავი ამოჰყო მშენიერმა ყრმამ და სალამი მისცა მას.




მისტერ ჟორდროპმა ფრთხილად შეახვია საოცარი ყრმა და დაუყონებლივ მიჰკვარა ნოე ჟორდანის. — ოცდაათი წელიწადია ველოდი ამას და აი, ველირსე, ბაჟონონოე! ახლა თქვენთვის მომირთმევია და აღზარდეთ ისე, როგორც თქვენა და ამ მშვენიერ ბავშვს შეგვეფერებოდესთო, უთხრა მან ნოეს. — აწ განუტევე მშვიდობით მონასა შენსა, უფალო, რამეთუ თვალთა ჩემთა იხილეს ყრმა ვგე ძვირფასი — წარმოსთქვა ნოემ და მიიქვა მკლავთა ბავშვი.



მთელი საქართველო სიხარულისა და აღტაცების ტალღებში ბანაობდა. ზეიმებსა და ნადიმებს ზოლო არ უჩანდა. მიზეზი, რა თქმა უნდა, ის მშვენიერი ყრმა იყო, ჟორდროპმა რომ მიართვა ნოე ჟორდანისა.

— ამ პატარა სასმისით მე გეაღლებით აი, ამ ბავშვის სადღეგრძელოს! — ამბობდა თამადა ერთერთ ამ გვარ ნადამზე...

ყმაწვილი მშვენიერ კვარცხლბეკზე იჯდა და ყურადღებით უცქეროდა მოქეიფეთა საქციელს.



როდესაც განთიადმა მოაღწია და ყვეოას ჩაქინა სუფრ. ზე, ყომა დრო იხელთა და დიდების მიზაძვით „მატრა“ სასმისში ისკუბა. იგი ჯერაც კ დევ ღვინოში ფართხალობს, მისტერ უორდობი გულს ფანქალით ადევნებს თვალ-ყურს მას და არ იცის, გადაურჩება ბავშვი დაბრჩობას, თუ ვერა?

„ეშაპის მატრახის“

რედაქციას.

В Редакцию журнала

„ეშაპის მატრახი“

ვულოცავ ძვირფასსა და ჩემის გულისთვის აბლომელს რედაქციას საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. მონობის უღელი დაეცა, დადგა ჟამი სრული თავისუფლებისა—ჰაჰ, დეე თავისუფალ ქვეყანაში ხმაბალივ გაისმოდეს ჩვენი სატირის სიტყვა, თავისუფალი და ძლიერ-მოძილი, საყვარელ საქართველოს სასახელოდ. დეე, თავისუფალი სიხარული და მხიარული სიცილი მეფობდეს უკანასკნელ ღარიბ ქობშიაც კი—რადგან ჯანსალი ხალხი უნდა იცინოდეს, ეს არის მისი ჯანსალობის ნიშანი.

ის აზრი, რომ „ეშაპის მატრახის“ მკითხველის გულში ზოგჯერ იქნება მეც აღმეძრას, სიცილი თუ არა,—ღობილი მაინც და ამით მეც შემეტანოს ჩემი მკირედი წვლილი თავისუფალ საქართველოს სატირაში,—მედნიერად მხდის.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, ქართველ ხალხს, თავისუფალ სატირას და ჩვენი ეურნალის ყველა ამხანაგ-თანამშრომლებს.

ო. შმერლინგი.

იანვრის 13, 1920 წ.  
განჯა.

Тороплюсь поздравить дорогую, близкую моему сердцу Редакцию с признанием моему сердцу Редакцию с признанием независимости Грузинской Республики. Иго рабства сброшено, наступил час полной свободы—пускай же в свободной стране наше свободное слово сатиры звучит громко, по-бодному во славу любимой Грузии. Пусть радость и смех свободный, радостный царить даже в самой убогой сакле—здоровый народ должен смеяться, в этом признак его здоровья.

Я счастлив, что может быть, только косвенно, моментами вызывать, если не смех, то улыбку на лицах читателей „Матрахи“ и темъ внесь мою скромную лепту в сокровищницу свободной грузинской сатиры.

Да здравствует свободная Грузия, грузинский народ, свободная сатира и все коллеги-сотрудники нашего журнала.

О. Шмерлингъ.

13 Января 1920 г.  
Ганджа.

### დიდება შენდა..

ჩვენი პატარა საქართველო იცნო ევროპაში... დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა! ერთობ გაგვტანჯა ამდენი ხნით მისმა არ ცნობამ, ჩვენს გულში სიყვარულთანა ბალი გაწენდა.

ევროპამ იცნო საქართველო ქირ-გამოვლილი! კედელსა ჩხირი!.. და ნახშირი კერისი პირსა!! ნეტავ ამდენ ხანს რათ არ გეცნობდა ის დალოცვილი, რათ გვიმატებდა დაჩაგრულებს ქირზედნ ქირსა? თუ საქართველო კი იცნობდა ევროპიელებს, ევროპამ იგი რათ ვერ იცნო, საკვირველია! თუ რომ ისანი უწოდებენ თავის თავს ძველებს, ჩვენი ქვეყანა ბევრ მათგანზე უფრო ველია.

იქნებ მათ ჩვენი რესპუბლიკის დაპყვება მშვენიერა, არ მოეწონათ მისი ტურფა მინდორ ჭალები! დე ისე იყოს, როგორ იათ სურვილს ენება, მაგრამ გვ-ჩვენონ ევროპაში მისი ცალები.

იქნებ ევროპას ჩვენი მზე და მთვარე არ მოსწონს,

იქნებ მას ჩვენი „ცა ფირუზი“ დაუწუნია: თუ ის ასეა, აქ ყვავისა კერძოა სწონს, ჩვენ ჩვენი მზისთვის გვეოგება მთელი ღუნია.

იქნებ მას ჩვე ი არ მოსწონდა ბრძოლის ყივიანა, თავ გაწირული ომი მტერთან, შემოსეულთან... პარდონ! თუ ჩვენ მას ვერ დავუთმეთ კარი და ბინა, დასულგრძელობა სხვა ვიზინეთ, მტერთან ძლეულთან დღეს საქართველოს რესპუბლიკა იცნო ევროპაში! დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა... ერთობ დაგვტანჯა იმდენი ხნით მისმა არცნობამ, დღეს კი ჩვენს გულში სიხარულის ბალი გაშე და.

ეშმაკი.



### პატარა ფელეტონი.

სადღეისო საპითხები.

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობამ მთელი ჩვენი რესპუბლიკა ფეხზე დააყენა და თვით-მოქმედების სურვილი გაუღვიძა.

თითოეული ცალკე პარონება თუ კოლექტივი ერთიმეორეს უსწრებს საზოგადოებრივ მოღვაწეობის სარბიელზე.

სხვა და სხვა ორგანოები რესპუბლიკის მარცხ-გამგეობისა ერთი მეორეს ეცილებიან ამავე კეთილს მიზნითა და განზრახვებით.

პრესის მოვალეობას შეადგენს გაღვივოს ეგ ღვთიური ცეცხლი მოქალაქეთა გულში აღგზნებული და მით აღმშენებლობითი ენერჯია ეოსის გაასკეცოს.

სწორეთ ამ მიზნით მოაქცია „ეშმაკის მათარახმა“ განსაკუთრებული ყურადღება ცოტად თუ ბევრად მოღუნებულ მოღვაწეობას ჩვენი რესპუბლიკის ბატონ-პატრონის, დამფუძნებელი კრებისას და შეუდგა საშუალებათა ძიებას მისი ენერჯიის განსაღვივლათ, ანუ უკეთ ვსთქვთ საშუალებათა ძიებას მის შესახებებლად.

ჯერ კიდევ ნეტარსენებული სოლომონ, სიამაყე და სიქადული ჩვენი, დიდი სოლომონ ზურგიელიძე, როდესაც რაიმე საგანგებო შემოქმედებისათვის ემზადებოდა, ყოველთვის გავლივებულ მაყალს იღებდა საწოლის ქვეშა და უზენაეს წყარტილამდე შეტყობული ჰქანიდა იმ ობოლ მარგალიტებს, რომლებსაც ასე დაუზოგველად აბნევენ დღეს ჩვენი საზოგადო მოღვაწენი.

ყველა თქვენგანს მოეხსენება, თუ რა სიცოცხე გამეფებული დამფუძნებელი კრების დარბაზში და ჩვენი მიზნის მისაღწევათ იქნებ სავარგისი დარჩენს დიდებული მგონის გამოცდილებით სარგებლობა. ტრიბუნის ქვეშ რომ გავლივებული მაყალი შეიდგას, ეს ერთობ ასწევს ორატორთა ენერჯიას და საშუალებას მოგვცემს მოვისინოთ აღგზნებული სიტყვები ჩვენი დებუტატებისა.

მეორე საშუალება მამულის რჩეულ პირთა შეხურებისა უკვე საკმაოთ ცნობილია საქართველოში და ჩვენი მთავრობა მას საკმაო ენერჯიით აწარმოებს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩვენის აზრით, საქართველოს რესპუბლიკას ამ მხრივაც შეუძლია შეტო ენერჯიის და საქმიანობის გამოჩენა. საკმარისია თითოეული უწყებისათვის, აგრეთვე ქალაქთა, ერობათა და კოპერატიულ კავშირთათვის სავალდებულო იქნეს კვირაში ორი-სამი ქვივის მოწყობა, როგორც უცხოელ, აგრეთვე ადგილობრივ წარჩინებულ პირთათვის, რომელთა შორის დამფუძნებელ კრებას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს, ვისაც მოუსმენია ქართველ მოღვაწეთა სიტყ-

ვა საქეფო სუფრაზე და მის გარეშე, დარწმუნებული ვარ ის დაგვეთანხმება, რომ ეს მეორე საშუალება შეხურებისა ერთობ მიზანშეწონილია და თანაცროულია.

მესამე საშუალება შეხურებისა „ქუჩაკის მათ-

რახის“ სრულს მონოპოლიის შეადგენს. ისიც ისტორიული სიძველია განმტკიცებულია, მაგრამ მისი აუცილებლობა ჯერ ჩვენთვის სავსებით არ არის გამოაკვეული.

ზორიელი.


ს ა მ ა რ ა დ ი ს ო ზ ა ვ ი



მოკავშირეთა და გერმანიის შორის



# ანდრია: კარგი ჰქენი, ქვას დასდევნი...




## დენიკინი. გამოიფლი წინ დაგხვდება.

### ჰოი უფალო..

ჰე უფალო, ეს ქვეყანა  
რისთვის შეჰქენ თუ არ გქირდა?  
რად განსახე აღამის ძე,  
ამ ბოლოს დროს თუ დამკირდა?  
რად მიეცი აზრი დიდი,  
თუ სიკოცხლე არად ღირდა?  
ვინ გეხვეწა მათ გაჩნას,  
მიიხარ, თუ ვინ ავიხირდა.  
თუ შეჰქენ და გააჩინე,  
რალად გაჰყავ ათას გვარად.

ერთად რად არ დაამლოფე,  
რომ ეცაოვრათ მეგობარად?  
ზოგი მთაში რად არეყე,  
სხვა დასტოვე დაბლა, ბარად,  
დღეს ერთმანეთს შეჰყურებენ  
ერთ-ერთის არ გასახ რად,  
რად მოჰგვარე მოციქულნი,  
რომ მათ შორის შური სთესოს,  
ერთ მხრივ მასეს აგზავნიდი,  
იქით წაჰაღს, აქ იესოს?  
ნუთუ ლტინად მიგაჩნია  
ძმამ რომ ძმანედ ხმალი ლესოს?..

ან. განჯის-კარელი.



# იმერული სცენა

ყურაფელს ვიფიქრებდი და პარტიული აფხანაკები თუ ასე გამწირავდნენ კი არ მეგონა! ხუმრობა საქმე ხომ არაა, ყმაწვილო. ასე ეზაშათ ორი ათას შეიდას მანათის გადახთა? ცხრაას ხუთიდგან პარტიის წევრათ ვითვლებოდი, კრებებს არ ვაკტებოდი, თვითონ გადასახადი ყველაზენ უწინ მე შემქონდა შით. ხანდახან თანჯდომარეთაც ჭე მიჩრჩევდენ. ჟურნალ გაზეთების საქმეც მე მქონდა მონდობილი. ერთი სიტყვით ისე ვიყავი მიღებული რომე კორექტივის მწვერებეც აფხანაკოს მიძახოდენ. ზოგეერთებს გაზეთებეც ჭე მიქონდენ უფულოთ, მარა არაფელს ვეუნებოდი. ჰოდა, ამფერ ნამსახურ კაცს თუ ასეთ მომექციოდენ, ამას რავ ვიფიქრებდი.

პოვესტკა რო მომიტანა მელიცონერმა და წევიკითხე, რალამე ჰკუიდგან შევიშალე. ორი ათას შეიდას მანათია შენზენ შეწერილი ერა დროული სანატრელი გადასახადი და თუ არ შეჰოიტანე, თვით მართანებობის კასაში, ორმოც და ათი პროცენტი მეტი გადახდებო.

მაშთოვლე გევიქეცი თვით მართანებობის საკრებულოში ქალაქის თავთან. სტოროჯმა შემაჩერა: ვეჩერედი ჯერ არ გიწევს, მეიკადე და მერე შეგიშოფო. მეტი რა გზა მქონდა უნდა მემეცადა. მომიწია ვეჩერედი და შევედი. ამევილე პოვესტკა და მივართვი თავს ხელში. გარდააბლო თვალი, თლათ არც ჭე წაუკითხამს და მიტხრა:

— მერე, ამით რა გინდა რო სთქვაო.

რამინდა, ყმაწვილო, და თვით მართანებობის სამართველოს გამგეობის მწვერები მეტი ნაწილი ჩემი

აფხანაკები არიენ და ჩემზენ შესთომით ორი ათას შეიდას მანათი მოუწერიენ. ამისათვის გთხოვ ზომები მიილო და ამომშალო.

ამოშლა ჩემი საქმე არაა, თუ გინდა თხოვნა დაწერედა შემოიტანეო, და იქვე დავედი, ვთხოვე დათიკოს ქალაღი და საწერ კალაში და დევიწყე წერა:

თვითმართანებობის სამართველოს გამგეობის მწვერებს.


მოქალაქე გლახუნა ვერგადისთასკან.

## თხროვნა:

რომელიც ჩემზენ შესთომით შეგწერიათ ერთ დროელი სანატრელი გადასახადი ორი ათას შეიდას მანათი, ეს მე არ მეკუთნის გადასახადათ. რო მეკუთნოდეს მაინც, როგორც პარტიული ძველი აფხანაკი, გთხოვეთ ამომშალოთ და ჩემ მაგივრათ ვინცხა სხვას გააწერეთ.

მუაწერე თხოვნაზენ ჩემი სახელი და მივართვი ქალაქის თავს. ქალაქის თავმა მიტხრა: ორ მანათიან, მარკები არის საქიროვო. ბევრი ვეზვერწე, ორ მანათს ნუ დამხარჯიფე ტყულათ, ისთე მიილე თხოვნათქვა, მარა არ ქნა იმ შეჩვენებულმა. ვიყიდე მარკები და მუუტანე. მეხუთე დღეს მავაითხე: ჩემი საქის რა ქენითქვა. არაფელიო, მიტხრა: ისეც ის შეგაწერესო, მე რომ არ დაგხმარებოდი კილო გიმატებდენო. აფხანაკობაც ასთე უნდათქვა, ვიფიქრე და გამუარდი გარეთ დაღულრული ძაღლივით.

კ. ბ - ძე



# ახალი სიმღერა.

(ძღვნად ახალ პოეტებს.)

ჩვენ ახალს დავეძებთ, მოგვწყინდა შაბლონი.  
 ჩვენ გვინდა მოვინახოთ სხვა სახე, სხვა ფონი.  
 საესეა ცხოვრება სხვა და სხვა სახითა:  
 ყვითელით, წითელით, თითრით და თაღბითა...  
 მაგრამ რა? ყველა ეს ნახმარი ფერია:  
 ძველ პოეტთ ქითაბში ათასჯერ სწერია.  
 ამიტომ დავგმეთ ის და სხვა გზა მოვნახეთ:  
 პარიზში ვიყავით, თავრიზი მოვლახეთ;  
 იქ ყაახანებში დავრიშებ სვეტარეთ...  
 მაშ აწ ჩვენც გვისმინეთ! შევირდათ გვებარეთ!  
 ჩვენ გვიყვარს კატები, ჩვენ გვიყვარს ძაღლები,  
 მიკიტნის ღუქნები, ქეიფი, არღნები.  
 ცხვირ მოკმულ ქუჩებში ვალამებთ, ვათენებთ.  
 ბინძურ მზეს, ორსულ მზეს ცაზე არ ვაყენებთ.  
 ტილების მკვლელ თითებს ვკოცნით და ვაღიღებთ.  
 ვნებთან სიმღერათ ქვეყანას ვაგიგებთ...  
 და თუ გსურთ შეიგნოთ ფერების სიმბოლო,  
 ყველა ეს სურნელი თქვენ უნდა იბოლოთ!

ხუმარა.

## დეპეშები.

*(პ. ხუციანი)*

**ქ. ფოთი.** ფოთის ბაზარზე დედალი ინდოური 120 მანეთად ფასობს, მაშალი კი 80 მანეთად. ამით დაირღვა შოთა რუსთაველის ბრძნული თქმულება: „ლექვი ლოჲისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ო.

ბიკენტი.

**ქ. ზუგდიდი.** ცაიშის დაღმართზე ავტომობილთა ვარჯიშობა მშვიდობიანათ ჩატარდა. მაჯა იღრძოა შეიღმა, ფეხები კი სამმა კაცმა. ოთხ კაცს თავის „ნედლოროზუმენიე“ მოუვიდა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არა ღირს.

გუშინ ღამით ვ. ჯალოღონიას ცხვირი დაეკარგა. ექვი ერთ მანდილოსანზე მიიტანეს. მკაცრი ზომებია მიღებული.

**უჯარმა.** უჯარმის საზოგადოებამ დაადგინა: არანც და არაკც არ დასძრას სამმართველოს კანცელარია მანაგაძის ღუქნიდან.

**ახალსოფელი.** (გარე კახეთი) ძველ ქაღალდებში აღმოჩნდა ფოთად საგულისხმო დადგენილება: ვინც „კახეთიდან გამოტარებულ ღვინის ბოკეტებში (ღვინის ამოკლების შემდეგ) 25 ვედრა წყალს არ ჩაურევს, განდევნილ იქმნას ახალსოფლის ტერიტორიიდან, როგორც არა საიმედო ქურდი.

**სართიჭალა.** თითქმის მესამე საათი გადის დაბაში ქათმის ქურდობა არ მომხდარა.

**სოფ. ხაშმი.** ვინაიდან საქიროების დროს

ძნელი საპოვნელია, როგორც კომისარი, აგრეთვე მღვდელი, გვარდიის შტაბის წევრები, თუ მის ხმოსნები და საზოგადოთ ყველა საქირო პირი. გადასწყდა ტელეფონი დაიდგას სასადილო „ფოკუსში“ სადაც შეგიძლიათ მიაგნოთ აღნიშნულ პირთ ყოველ დროს.


№-X.

## პროვინციის ქრონიკა.

**დ. აბაშა.** აქ არსებული კოლხერატრეოთა კავშირის სასადილო „განახლება“ და მასთან ურისცხვი მოქალაქენი მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა კვათანის ერობის ხმოსანთა ყრილობის დადგენილებამ. აკრძალაოლიყო მსხვილ-ფეხა საქონლის ხორციოთ ვაჭრობა, ვინაიდან შექმნეულია რომ ის ავრციელებს საქონლის ქირს, რაც ბევრს სოფელს მოსდებია. რათა თავი დაეხსნათ ჯიბისა და ხორცის კრიზისის „განახლებაში“ ახალი კერძის მეტად საყურადღებო შემადგენლობა შეიმუშავა. აი დაახლოებით ეს შემადგენლობაც:

1. ახლად გამოშობილი, საბუღარში განგებ ნასუქი მოზრდილი ბუზი 10 პროც. (ჩვენი ანალიზი).
  2. ადამიანის, გინდ პირუტყვის ორი წლის დაუფარცხ ელ-დაუბანელი ჩაზეთილ-ჩაქონილი თმა 15 პროც. (მომხმარებლის ანალიზი).
  3. ზედ დარჩენილთა ნარეცხი ქვაბების, თეფშების, დანების და სხვა 20 პროც. (იგივე).
  4. წვირი ტანსაცმლისა, ან კისრისა ვისიც არ უნდა იყოს 30 პროც. (სანტატარული კოპისია).
  5. სხვა და სხვა წვრილმანები, როგორც არის ხორცი, ძვალი, კართოფილი და სხვა 25 პროც. (აქ ანალიზი არ გაეთებებულა ვინაიდან განახლების სიტყვას ვენდობით).
- ამის შემდეგ ერობის განკარგულება გინდ ხორცის სიძვირე კრიზისი სულ უმნიშვნელო იქნება და თქვენ შეგძლებათ თავისუფლად გამოკვება ვისიც გნებავთ.

ჯიჭიე.



# „მსახიობის დღე.“

ტრადი-კომედია I მოქმედებათ

მოსაქმენი:

პავლე საყვარელი  
ალიოშა წუწუნავა

კოტე ფაცხვრაშვილი, (ქულაჯაში გამოწყობილი, გიტარა ჰქვია და ნოტები უჭირავს.)

მინადორა ტაროშელიძე

ვასო აბაშიძე

სცენა წარმოადგენს ხელოვნების კომისიის თავმჯდომარის კაბინეტს. შუშაპანდიდან მოსჩანს ქსჩა და ქართული თეატრის ნანგრევები.

პავლე. დიდ აარს მარჯსი.

ალიოშა, კოტე, ვასო. დიდ აარს მარჯსი.

პავლე. მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას საყვარელს მითვლის მე, ხელოვნებას კომისიის თავმჯდომარეს, — რატომ არ არის თბილისში ქართული წარმოდგენების სეზონიო. ჯერ-ჯერობით ყრულ მოსამის მისი მრისხანების გვრგვინვა ჩვენ ყველანი მისი პარტიის წევრი ვართ.

სამივე. ჩვენ ყველანი მისი პარტიის წევრნი ვართ! მისმა პარტიამ დაჰფაროს მთელი საქართველო.

პავლე. ვერაფერ კეთილისი დამატებითი საზოგადოების დავალებით წყველმა იმედაშვილმა დააგროვა ყველა მსახიობნი, გადაიყვანა ქუთაისში და აწარმოებს სეზონს ქართული წარმოდგენებისას.

ვ.სო. მისმა სისხლმა მოუკლას წყურვილი დენიკინოებს და ლენინოებს.

პავლე. მსახიობო ვასო, შენა ხარ ჩემი ბურჯ ქართულ თეატრში. შენი სიტყვები ყურს ასაბოვი ნებს, მაგრამ გულში კი სიკრუე გაქვს დამარხული.

ვასო. ვიყო მსხვერპლი შენის სიმართლისა თუ რაიმე ბაჰალი მიმიძღაღეს (ალბაცერად გახედავს წუწუნავას)... ჩემი გული წმინდაა ხელოვნების წინაშე

პავლე. რაკი უარ ჰყავ სიბნელე ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა და მიიღე ნათელი იდეები სოციალ-დემოკრატებისა, ამიტომ მეც დავივიწყე შენი ურიდი ბრძოლა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. დაგახლოვე და წარგადგინე პენსიაზე და სახელმწიფო ორღენზე.

ვასო. ძვირფასო მოციქულო პარტიის მამამთავრისაო, შენის წყალობის სანაცვლოდ არ გამოშვია მთელ საქართველოში არც ერთი ქალაქი, დაბა და სოფელი, რომ არ გამეპართოს წარმოდგენა. ისეთ ადგილებშიაც კი მითამაშნია, სადაც სცენა ტახტებისაგან შეიკრავს, ჩაბტები ფარები, ჩაქვდიღვარ შიგ და რის ვაი-ვაგლახით ამოფოქრივართ. მითამაშნია ისეთ ადგილას, სადაც ტყის მაგივრად საბნის პირები ყოფილა ჩამოფარებული და ზედ ცოცხალი ხის ტოტები მიგვიყულებია, თამაშის დროს წაგვიქცევია და ისევ ხელით დამირტყვია. და ვინ იცის კიდევ რეები არ გამო-

მივლია. არა მქონია ჩემს სიცოცხლეში არავითარი სანოვაგის ბარათი, არც რაციონი და პორციონი. განა არ ახსოვს თვით პატივცემულ ნოე ჟორდანიას, როდესაც დრამატულ საზოგადოების გაწვეობის წევრად და ცარიელ დახლის ხაზ ნადრად იყო, რამდენჯერ დილიდან საღამომდე გვილოდნია კანტორასთან, რომ ჯამაგირი თითო მანათობით მაინც მიგველო? დღევანდლამდისაც კი დარჩენილია მასზე ჩემი სავი აბაზი და ახლანდელ კარსით რომ ვიანგარიშოთ, ვინ იცის რამდენს დაიქვრ! შევიბრალებ განა ჩემი მხლოვლი და შორეული მსახიობნი? განა იმათ კი არ ვლეს ეს ნარ-ეკლიანი გზა, ავერ ორმოცი წელიწადია. განა იმ მსახიობთა შორის არ გრევენ ავალიშვილისა, საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, ყიფიანი, მესხიშვილი, რესხი, გუნია და მმანი მათნი? ბევრმა მათგანმა ვერ გაუძლო ბოლომდე ამ ქაპან-წყევტს, ტანჯვაში დაღია სული და მათნი გაცივებულნი გვანნი დღის პატევით გავატანე ქართველ საზოგადოებას სასაფლაოზე საიქიოსკენ გასასტურებლად. რდიდოს სახელი ხელოვნების კომისიისა! მე, ქართველმა მსახიობმა, გავტანჯე ჩემი მოძვე წსახიობნი და წაძების ქარ-ცეცხლში გამოპრძმენილნი მოვიყვანე შენი კაბინეტის კარის დირემდე და იმსახურე ძლიერო მფარველო ხელოვნებისაო. და თუ ესეც ცოტაა, თუ ესეც სათნო არ არის შენა ვის, არ გაემყოფილებს ჩემი იდეური მუშაობა, და ჩემი მენ რევიკობა, მიბრძანე და ამ წამსვე გავტანდე ვიკლები, გამოვდეგნი სახელმწიფო თეატრიდან წუწუნავას და ჩემს თავს ვაზოვაცხადებ კომისარად (წუწუნავას ფერ ფერი მისდას და ქვეშადგან გასტყრის ზეჯეს.. ფოცხვრაშვილი ზირ-დაღებული საწვლად შეჭურვის წუწუნავას. ტრადიკული მდგომარეობა).

პავლე. სტუდიის დირექტორი ჯაბადარი შენზე ერთგულია: მან ყელამდე ჩაჰვლა დრამატული საზოგადოება და კოპერატივთა ცენტრალური კავშირი სტუდიელების შესაქმელად და ისე დასტოვა ჯიბე შეთხელებული „სარწუნოებით“ გატაცებულმა, რომ არ წაიბორძიკოს, შეიბა „ავგაროზი“, „ეთი ფოთლები“, ცოვა ფულეში და აღარ ვლევა „თეთრი ვაზში“. თქვენ კი ცარიელ მკადისა მონატრული ხართ. ისა მღუბავს მე ზელოვანს. წამ და უწუმ სადარბაზოდ დარბის ჟორდანიასთან, მასმენს და ცოლსა მწამებს მეცა. რითი და გავიმართლო თავი. (წუწუნავა შკრთავს).

ვასო. შენის სამავალითო გეგმების ძლიერებით, დიდებულო მფარველო ქართველ მსახიობ სო.

პავლე. მართო გეგმები არ არის ძალა ხელოვნების კომისიის თავმჯდომარისა. ბევრი ლამაზი და მოხიბლავი გეგმა მებადება თავში, მაგრამ როცა კი საქმედ მიინდა გადავაქციო, აჯაფსანდალი გამოდის. მოსპე აგვმები და შეუღლეკი საქს!

წუწუნავა. საქმიანობა ყველა ჩვენგანისა, მტერ

რია ჩვენი ხელოვნების კომისიის თავმჯდომარის საქმიანობასთან.

**პავლე.** ესა ყოფილა კაცის დიდება. მე აქა ვზივარ არხეინად ჩემს კაბინეტში და ჩემმა მტრებმა კი დაივიწყეს ჩემი ღონე და ახოვანება, ჩაშალეს სეზონი და მოსპეს საქართველოს დედა-ქალაქში ქართული წარმოდგენები.

**წუწუნავა.** (შიშით თმა გასწვრივს, წვერ-უფლავსო გუთუთრდება; სასქეს არიდებს ზაფლეს \*).

**ვასო.** სცადე ჩემი ერთგულება დიდებულო დამკველო ქართული ხელოვნებისაო! ავაშვდრებ მთლად უსაქოდ დარჩენილ მსახიობებს, გარე შემოვადგები ქუთაისის თიარის რეჟისორს იმედ-აშვილს და გაუგებობის წიგნს პურადაშვილს, ერთის თოკით შეიკრავ. ერთმანეთზე გადავებამ და, როგორც ნახშირის საბაღის, ისე გადავიკიდებ ინგლისური ჯორის კეხედ და როგვარი შენს კაბინეტს კარის დირესთან. მიბრძანე მხოლოდ და დავესხნი თავს საკუდიის დირექტორს ჯაბადარს და გულთ მოგარამვე, როგორც მოთალსა.

**პავლე.** მოია დრო და მიეისივ. ჯერ დავაცადოთ ის სიზონი(ც გაათავონ. კომისარო წუწუნავა.

**წუწუნავა.** მიბრძანე ღლოცნების მღარცლო

**პავლე.** დაამზადე მოხინიბა მთავრობის თავმჯდომარისთან. შენ თითონ მხეველ და პირადათ გადასცემ! სცენის ქორუმი ვასო! დღესვე, ვიდრე სადილობის დრო შეიქმნებოდეს და კახუტს გადაჰკრაიდე (კახუტის გასწვრივს თითონაც ჩერწვეი მოადგება და პირს ჩაიტკარუქრის) წახვალ მსახიობთა კავშირში. თერთმეტ დღეში მოიწვევ რეჟისორს, შეადგენთ რეპერტუარს, ქართულ დასს და გამოაცხადებთ ქართული წარმოდგენების სეზონს სახელმწიფო თიარში.

**წუწუნავა.** (ამის გაგონებაზე კვირისის საზონით გაუიღდებ და მატის-შეტად უსიამოვნოდ წაიხშეუქრის) ჰჰ... (ვითომ: „ჟერ მივართვიო“).

**ვასო.** ყოველივე მეცხრე დღეს მზად იქნება.

**წუწუნავა.** (წაინებებს, ვითომ: (აი, თუ მზად გაქვსო!!)

**პავლე.** მოგროვე საუკეთესო მსახიობნი კაცნი თუ ქალნი. პირველ წარმოდგენას მე თითონ დავესწრობი და იცოდე პარტიდგან გავრიცხავ, თუ... რომ... მოც... ყური მოვკარი... ქალი გყვს შენა?

**ვასო.** ორმოცზე მეტი ქალი გყავს მსახიობთა კავშირში ჩაწირილი, წყალობთა კულტურისა, რომელმაც გვიხსნა უქალობისაგან. იკურთხოს მისი სახელი! რომელნიც უკეთესნი არიან იმათ მოვიწვივ!

**მინადორა.** (ცოტა ადრე შემოვიდა და შურს უგებდა.) ახანავო ვასო! ტასოს მოწვევაც არ დავიწყდეს.

**ვასო.** („ახანავოს“ გაგონებაზე შეტორტმანდუ-

ბა, მაგრამ გასწვრივს რომ ეს-დეკების ზარტაში ჩაეწერა და თავს შეიკავებს).

**პავლე.** ვინა სტკეი, ამხანავო მინადორა?

**მინადორა.** ამხანავო პავლე, ჯერ კიდევ შენ სად გცნობდი და ჩემს თვალს არც ვნახე, როდესაც ვხედავდი ჩაგის ქალის ცქრილს სცენაზე და ნიჭიერ თამაშს. ამხანავო ვასო, სად არის შენი ქალი, შენი ცოლის მარიამ საფაროვის ქალი-საგან? იმ მარიამსა, რომლის ნიჭიც შარავანდელსა ჰფენდა ქათულ სცენას, სანამ საუბედუროდ ყურთა სმენა დარკარგებოდა? სტკეი, თბილისში არ არის? სხვაგანა მსახურობს? სადაც იყოს და არ იყოს დიხარე და დასში მიწვიე. (ამის გაგონებაზე წუწუნავა ცინრის კვირისის ოდნად მოაუქუბს და გაუთრებულთი თმებში ხელებს იტაცებს. ფონცხერაშვილი თანაგრძნობით დაჰყურებს მას.) მარიამისაგან ხომ ერთად-ერთი გყავს?

**ვასო.** ერთად ერთი.

**მინ.** დაბალ-დაბალია. დარგვალეული.

**ვასო.** დაბალ-დაბალია... დარგვალეული.

**მინ.** მხსოვს იმისი თვალები!

**ვასო.** ოჰ, იმისი თვალები... არა თვალები არ უფარვა, ამხანავო მინადორა... ლორწეტსა ხმარობს.

**მინ.** სტრუობ. იმის დედას ისეთი თვალები ჰქონდა, რომ.

**ვასო.** შესაძლოა, ამხანავო მინადორა. მაშა რა დამფავებელია თავისი ქალის დირსებისა. ხასიათი აქვს გაბედული, თავ მომწონეა, გოროზი... ცელქა და გიჟ-მეჟ... ვშიშობ, ვაი თუ ცხეთი ხასიათი რეჟისორს არ მოეწონოს.

**მინად.** მტკიცე რეჟისორი მოარჯულეებს, მოაკვეციანებს მას.

**პავლე.** ცბიერი ხარ, როხუცო ვასო!

**ვასო.** დილა გულთა მხილაო, რა არის ჩემი ცბიერება შენი სიბრძნის წინაშე. განა პირველი მე არ მოვედი მსახიობად (ა) დროს ქუშაში ჩაკუნავა „არშინ მალაღანის ბეიშას გაკარავს, -ვასო ახამიძის, ელ. ჩქეხაშვილის და ტასო ახამიძის მონაწილეობით) და პირველმა მე არ დავე ჩემი ქუდ-მობილით თავი ქართული სცენის საჯალათო კუნძუზე? მოგონე, სამკაულო ხელოვნებისაო, ვინ უფრო გაუძლო დღევანდლამდე ქართული მსახიობის ქირ ვარმით სავსე ცხოვრებას: მესხიშვილი გაიქცა რუსეთს, ყიფიანი შევედა სათავად-აზნაურო ბანკში არქივარიუსად, ხოლო გუნიაშვილი ჩინება ჩწერლობასაც და მსახიობობასაც თავი და ადის და ჩადის ქართული კლუბის კიბეებზე ანგარიშების გასაწორებლად. მაშ რე თუ ეხლა დავიწყებდი ცბიერებას შენს წინაშე ჩემი ქალის გულისათვის, დე წყებდი ცბიერებას მაშინ, როცა ჩემი სულიცა, გრძობაცა, ძალაც და ჯან რთელობაც ქართული ხელოვნების წინაშე დავამხე?

**პავლე** (აღგება და ვასოს) შეასრულე ჩემი ბრძანება, შეადგინე დასი, ხოლო დაუდევრობით არა იყოს რა გაფუჭებული. კომისარო. აი კიდეც გაუკრავთ „არშინ მალ-ალანის“ აფიშა. წადი და გამოუცხადე მსახიობთა კავშირის თავიჯდომარეს, ავტორს და ყველას, რომ აღარ ვაძლევ ამის დადგმის ნებას ორთაქალაში, მუსულმანთა აუდიტორიაში და მთლად თბილისში. დეე, ქართულ სტუდიის წარმოდგენებით გაერთინე, ესეც საეპარისი იქნება მათთვის.

**წუწუნაუ.** „არშინ მალ-ალანის“ ავტორი ბაქოშია. „პროპუსიკი“ დამჭირდება იქ წასასვლოლად.

**პავლე.** უთხარი, თუ კიდეც დაიდგმ ბა სადმე „არშინ მალ-ალანი“, კომპოზიტორ ფოცხვე რაშვილს ვუბრძანებ, რომ ყველა მისი ოპერეტკები ოპერებად გადააკეთოს, ხოლო ორკესტრებს დაევაზენი სარდაფებსა და კლუბებში დამკვრელებად.

**ვასო.** რაღა გინდა გადასდო, დიდებულო თავიჯდომარე! ნება მიბოძე დაუყოვნებლივ შეიპროგო, რაც საქართველოში „არშინ მალ-ალანის“ ეგზემპლიარებია და თონეში ვუძახო.

**ჩინალორა.** „არშინის“ ეგზემპლიარებისათვის ნუ სწუხარ, ამხანაგო ვასო. ჩვენც მოვეუვლით შავ საქმეს უშენოდ. ან იქნება „არშინ მალ-ალანი“ კიდე აწუხებს შენს სმენას და გუნებაზე მოაყვეხარ სულთან-ბეგის სათამაშოდ?

**ვასო.** არა, ამხანაგო მინალორა, გაკირვება მიძილებდა სულთან-ბეგის თამაშს, მაგრამ ეხლა, როდესაც მთავრობიდან პენსია მიძლევა, ჩემი ხალა ელისაბედ ჩერქეზიშვილიც კი ვეღარ ჩამითრევს „არშინში“.

**ლიზა.** (დარცხენილი თავს ჩაღუნავს, კბილებს უკრაჭუნებს ვასოს და ქვეშეკმ გასტყარის).

**პავლე.** წამო, კომპოზიტორო კოტე! (გ. დიანი).

**მინალორა.** მოიცა, მოიცა ამხანაგო ვასო! მაგრამ იქნება გუნდისთან მიეშურები საქეიფოდ? ამბობენ ქოსების სარდაფში ქეიფობს ამხანაგებითაო.

**ვასო.** ამხანაგო მინალორა, ხსენებითაც არ მინდა გაეხსენო ის მოლაღატე, რომ უჩემოდ წასულა, არამც თუ ვიფიქრო მასზე.

**მინალორა.** შენი თავისთვის ძალიანა ფიქრობ?

**ვასო.** ლოთი არ გახლავარ, რითი დავარწმუნო, რომ ერთგული ვარ?

**მინ.** ვისი?

**ვასო.** ქართული თეატრისა და ს. დ. პარტიისა.

**მინ.** ისიც ორივესი?

**ვასო.** პარტია და თეატრი ჩემთვის განუყოფელი არიან. სწორედ ამიტომ არ შევასწავლე ჩვენი პროგრამა და არ ჩავუნერგე პარტიული იდეები, ტასოს, რომ სიკეთე მინდოდა შენთვის. ჩვენს მესვეურებს სული წასძლევთ ხოლმე პარტიულად

მომზადებულ ამხანაგებზე და საუკეთესო ადგილებს იმათ მიუჩენენ ხოლმე.

**მინ.** მაშ ჩემთვის ზრუნავდი? გამაღობ ქართული თეატრის დიდი ხნის მსახურაო. მკვი მიგონა წინანდელმა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისადმი მიდრეკილებემ წამოგჭრა შეუქი. ტასო ხომ შენი ერთადერთი ქალია.

**ვასო.** არა ამხანაგო.

**მინ.** ვიცი. მაგათ არ ვამბობ. მარიამის გან, საფაროვის ქალისაგან ხომ ეგ ერთადერთი გყავს?

**ვასო.** ერთად ერთი.

**მინალორა.** რამდენი არტისტი გყავს კავშირში?

**ვასო.** ასი სული.

**მინ.** მათ შორის სოციალ-დემოკრატი ბევრია?

**ვასო.** თითქმის ყველანი ეროვნელები და ფედერალისტები არიან, ხოლო რეგისორებად სულ სოციალ დემოკრატი-მენშევიკები ჰყავთ.

**მინ.** დარწმუნებული ხარ, რომ ერთგულნი არიან მთავრობას?

**ვასო.** დარწმუნებული ვარ, ამხანაგო, სხვა რა გზა აქვთ, სად წავლენ?

**მინ.** ბალშევიკებთან.

**ვასო.** ბალშევიკებს რაღა ძალა აქვთ ჩვენში, — ფილიპე მახარაძე დაქერილია. ან ბალშევიკები რითი სჯობიან მენშევიკებს. ე. ი. ეროვნელებისა და ფედერალისტებისათვის. დაამხოს ისინი ღმერთმა მარქსის ფეს ქვეშ წყვეულ სოციალისტ-რევოლუციონერებთან ერთად.

**მინ.** კარგად ვერ ახერხებ თავის მოკატუნებას ამხანაგო ვასო! არტისტობ კი საუცხოოდ და ეგ არტისტობა გშვილის სწორედ. წადი და მშვიდობით იყავ, ამხანაგო ვასო. არ დაგივიწყებ: სვი ღვინო, ეალერსე შენს სიმპატიებს და გვემსახურე როგორც „ერთგული“ მენშევიკი. სხვა რაღა გინდა, დილო ვასო?

**ვასო.** გადღებქელოს, ამხანაგო მინალორა. (გადასი).

**მინ.** ამხანაგო ლიზა, ეს არის დიდი ვასო? ეს არის საძირკველი ქართული ხულოვნებისა, ეს არის მამათავარი ქართული თეატრისა?

**ლიზა.** ვიდრე გირვანქა პური ორი თუმანი ღირს და ბოთლი ღვინო ხუთი თუმანი, არ შეეძლიან მუყაითობა. დააწესეთ იაფი იხრი და სულ ვარსკლავებს დაუწყებთ თამაშს.

**მინ.** თვითონვე კისრულობს უდრტეინველად, უბრძოლველად დასწვას თონეში „არშინ მალ-ალანი“, რომელშიაც თითონვე იღებდა მონაწილეობას და თითო ოროლა გროშს ღებულობდა.

**ლიზა.** გაიგონე, ამხანაგო მინალორა. პავლემ ბრძანა დანიშნეთ კრება კულტურულ ძალებსა ქართულ კლუბშიო. შეგროვდა ხალხი, დაიწყეს კამათი ქართულ თეატრზე, სეზონზე, მსახიობებზე.

ილაპარაკეს, ილაპარაკეს, ილაპარაკეს და... ილაპარაკეს.

**მინ.** ვინ არის ეგ ხალხი?

**ლიზა.** მწერლები, მსახიობები, მხატვრები, რეჟისორები: ვინ იცის! პარტიული ხალხი, საზოგადო მოღვაწენი.

**პავლე.** შენა ხარ, ამხანაგო მინადორ!

**მინადორა.** მე ვარ, ამხანაგო პავლე!

**პავლე.** ღამ ღამობით ჩემს სარტყელს გარშემო უმწეოდ დარჩენილ მსახიობების ლანდები მიმოჰქრიან. იმათ გაფითრებულ სახეებს რომ შეგცქერო, ბინდი ეცურის ჩემ თვალებს.

**მინადორა.** ბინდი ეცურისო. მე კი მგონია უფრო გიბრწყინავს. მომავალ სეზონისთვის არტისტიულ საზოგადოების თეატრს გადაცემთ და უზრუნველყოფილი იქნებიან.

**პავლე.** მადლობა ზეცას! ყოველივე საქმე კეთილად დაგვირგვინდა (შუაღუე სუღს გადასვამს დაღლილობის გამო სხათს დასუდავს) სადილობის დროც არის. ამხანაგო მინადორ! გუშინ დღელი შენი მომზადებული საცივი მოეწონა. კარგი იქნება, თუ დღესაც გამიმასპინძლები.

**მინადორა.** რომელი? ინდოურისა, თუ ხონური ყვერულისა.

**პავლე.** არ მახსოვს, რომლისა იყო? თან ხუთიოდე ბოთლს ჩვენებურ ყიფიანის ღვინოსაც თუ გადამახუხებ, სამაგალითო იქნება. კომპოზიტორ კოტესაც უთხარი მოვიდეს თავისი ქულაჯამ მომიშალოს მადა.

**მინადორა.** სიამოვნებით. მალე მზად იქნება, მხ. პავლე. (გაღის).

**წუწუნავა.** (შემოდის მფარველო ხელოვნებისაო, მსახიობთა კავშირის თავმჯდომარე საჩქაროდ დაუგზავნა ბრძანება ყველა მსახიობებს რომ აღარ ითამაშონ და აღარც იმღერონ „არშინ მალ-ალანში“.

**პავლე.** რაზემები დაგზავნილია აფიშების დასახველად

**წუწუნავა.** დაგზავნილია.

**პავლე.** ვასო წავიდა?

**წუწუნავა.** ეს არის ეხლა გავიდა და „პადიფილის“ კარებიც დაიკეტა.

**პავლე.** მინადორასა ვგზავნი სამი ღლის შემდეგ კავშირში მს საზევრავად. კომისარს! ჰაერში იტრიგების სული დგას. (წუწუნავას შეაყრუოლებს და ფერი ეწვლუბა) კოტე გაცყება თან.

**წუწუნავა.** კოტე დიდი ტანოვანია, მაგრამ დაუღვეართავანია. მინადორა მუყაითია, ღმერთმა დიდი ღლე მისცეს.

**პავლე.** რა გინდა სთქვა?

**წუწუნავა.** ყველაფერს მიყვდებო, რაც ვასოს გულში აქვს და ან რაც კავშირის გარშემო ამბავია.

**პავლე.** მერე

**წუწუნავა.** ნაზო და ჰაეროვანო, მაგისტანა საქმისთვის თქვენ აღილას გავგზავნიდი სანდო ამხანავს, მაგრამ მის დასახმარებლად ერთ მსახიობთავანს შაქო საფაროვსაც გავაყოლიებდი, რომელიც სკიდილობს ვასოს ადგილი დაიჭიროს. ოქროს სიწმინდეს სინჯავს ქეთი; მსახიობის ერთგულეზას მსახიობისავე ინტრიგებით, თაიგულო ხელოვნებისაო.

**პავლე.** წადი, შენი რჩევა კარგია.

**წუწუნავა.** გაფართოვდეს „სტომაქი შენი ძეო გახოსისაო! (გაღის).

**მინადორა.** (შეიმოუტანს სადაღს და ღვინოს. მერე შეიმოუფს კოტე) მოდი, კომპოზიტორო კოტე, გაინარცხე შენი ბრძანებლის წინაშე და სიმღერა მოახსენე. (მავლე) ამხანაგო პავლე, სხივი სინათლისა ამისკენ მოაპყარ. ნორჩი ყვავილი მით გადაფურჩქნე. (კოტე დაჰდება).

**პავლე.** ვინ გასწავლა სიმღერები?

**კოტე.** მოხუცმა დედაკაცმა. იმათ მასწავლეს სიმღერებიცა და ცეკვაც. ყოველივე ვიცი, რაც კი გასიამოვნებს, მფარველო ქართველ კომპოზიტორებისაო. მიბრძანე და ვიცეკვებ და მერე ვიმღერებ „აბა დელიას“ ჩემ მიერ გადმოღებულს!

**პავლე.** აბა, იცეკვე.

**კოტე.** (თან გიტარაზე უკრავს და თან ჩეკვებს).

**კოტე.** (მღერის „აბა-დელიას“) (გაისმის „აშშში მაღ-აღას“)

**პავლე.** (ასევე მაღუფლი ხმით გასძახებს) კომისარო.

**წუწუნავა.** სამკაულო ხელოვნებისაო. მხოლოდ ერთხელ დაიღრიადღეს... კავშირის თავმჯდომარემ დაუყონებლივ დაუგზავნა ბრძანება ყველა მსახიობები... ალბად მსახიობი იშხნელი სადმე სარდაფში ჩეიფობდა და ვერ იპოვნეს... დღეს იმათი დღესასწაულია.

**პავლე.** ხეალ დილით კავშირის თავმჯდომარის თავი მომიტანე. ისე უნდა იყოს დაცარიელებული, როგორც იმათი კასა და ჯიბე. გასწი. (წუწუნავას) განაგრძე კომპოზიტორო.

**ლიზა.** ეს მეორეა ასეთი სეზონი.

**მინად.** ეს უკანასკნელია ასეთი სეზონი.

**კოტე.** (მღერის) „აბა დელიას“.

ფ ა რ დ ა

სოსო შიგაკარელი.



(სოსო შიგაკარელი)

თ ა გ ი ს უ ფ ა ლ ი



საქართველო და აზერბაიჯანი.

ფ ო ს ტ ა.

კ—ვილხ. თქვენს „სცენაში“ სწერია: „იმ დროს მე ძლიერ დათუქრებული ვიყავიო.“ იმედი გვაქვს იმას „სცენის“ წერის დროზე არა ბოძანებთ.

ი. ოკრიბაძეს. თქვენ იწერებთ: „გთხოვთ, ეს ბატარა წერილი მოგვითავს-თ თქვენს ე რნალში და თუ გამოვლგები, კვლავ მოგაწვდით წერილებსაო.“  
 თქვენი წუოილი ჩვენ. ეუ-ნალში ვერ მოთავსდება, ვინაიდან ძლიერ მოკლეა. შესაებ „გამოდგოიისა“, გვეხათრება განაჩენის საჯაროთ გამოტანა.